დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260901**
თარიღი:**31/03/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელშად მურადოვს შორის 2016 წლის 20 ოქტომბერს დადებული აღნაგობის ხელშეკრულება N2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 20 მარტის N108-1082607912 წერილისა და ელშად მურადოვის 2026 წლის 17 მარტის N19/1082607611-1 განცხადების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელშად მურადოვს (პ/ნ 15001008372) შორის 2016 წლის 20 ოქტომბერს დადებულ „აღნაგობის ხელშეკრულება N2“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის შეთანხმება N1).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შეთანხმება N1

2016 წლის 20 ოქტომბერს დადებული აღნაგობის ხელშეკრულება N2-ში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. დმანისი _____ წელი

ერთის მხრივ, ელშად მურადოვის (პ.ნ 15001008372) სახით და მეორეს მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით (შემდგომში „მესაკუთრე") დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ___ _____ N_____ განკარგულებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ___ _____ N_____ ბრძანების შესაბამისად შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2016 წლის 20 ოქტომბერს დადებული აღნაგობის ხელშეკრულება N2-ის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.1 ,,აღნაგობის უფლების მქონე პირის" მიერ ქონებით სარგებობისათვის გადასახდელი გადასახადი შეადგენს 4231 (ოთხიათასორასოცდათერთმეტი) ლარს წელიწადში.

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2016 წლის 20 ოქტომბერს დადებული აღნაგობის ხელშეკრულება N2-ის განუყოფელ ნაწილს.
3. ხელშეკრულების გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

,,მესაკუთრე"
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

,,აღნაგობის უფლების მქონე პირის"
ელშად მურადოვი (პ.ნ 15001008372)

კობა მურადაშვილი

----------კობა მურადაშვილი ----------ელშად მურადოვი